ასეთია საქართველოს მეჩაიეთა საბრძოლო ამოცანა!

პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976 სამშაბათი 13 აპრილი № 85 (16515) ფასი 2 კაპ. 1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ოქტომბრიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ქუთაისი. მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეები (მარცხნიდან): ჩოხატაურის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ა. ერქომაიშვილი, ქობულეთის რაიონის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ლ. ხაჯიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ბ. ქადეიშვილი, ცხაკაიას რაიონის ულანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ტ. ტყეებურაძე.

ფლ. ბინზბურგის ფოტო.

მეტი მაღალი ხარისხის ქართული ჩაი

მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრება

საქართველო იძლევა საბჭოთა კავშირში წარმოებული მთელი ჩაის 95 პროცენტს. დიდია ჩაიზე მოთხოვნა. ამიტომ შეუნელებელი ყურადღება ეთმობა მეჩაიეობის — ჩვენი სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის ინტენსიურ განვითარებას. რესპუბლიკაში ითვალებენ ჩაის ახალ ფართობებს, იზრდება ბუჩქების მოსავლიანობა, უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

ბოლო წლებში ჩვენმა მეჩაიეებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ამ კულტურის მოვლა-მოყვანაში კომპლექსური მექანიზაციის, ქართველ სელექციონერთა მიერ გამოყვანილი ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების დანერგვამ, თავდადებულმა შრომამ საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა მაღალი შედეგები. მეჩაიეობის მთელი ისტორიის მანძილზე რეკორდული მოსავალი — 334 ათასი ტონა მოიკრიფა 1975 წელს.

მაგრამ რეზერვები მეჩაიეობაში მთლიანად არ არის ამოწურული. სკკპ XXV ყრილობამ ახალი პერსპექტივები დაუსახა მეჩაიეებს, დარაზმა ისინი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებაში უმაღლესი მაჩვენებლების მიღწევისათვის, ნედლეულისა და თვით ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

1975-1976 წლის სუსხიანმა ზამთარმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას. ყინვისაგან დაზიანდა ვენახები, ციტრუსის პლანტაციები. ჩვეულებრივზე გვიან დაიწყო საგაზაფხულო კულტურების თესვა. კარგი მოსავლის მოწევა ახლა დიდად არის დამოკიდებული წარმოების ყველა რგოლში მშრომელთა ორგანიზებულობასა და მაღალ შეგნებაზე. აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან მეჩაიეებმაც. უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ და, უეჭველია, ახალ შესანიშნავ გამარჯვებებსაც მოიპოვებენ.

მალე პლანტაციებში გავლენ ჩაის ფოთლის მკრეფავები, ჩაის საკრეფ მანქანებს გაიყვანენ მექანიზატორები. დაიწყება ბრძოლა მეათე ხუთწლედის პირველი წლის მოსავლისათვის. მეჩაიეების, გადახალშუავებელი მრეწველობის მუშაკების ვალია ყველაფერი იღონონ, რათა პირნათლად დაძლიონ მაღალი მიჯნები.

□ □ □

ქუთაისში გამართულ მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე შეაჯამეს გასული სამეურნეო წლის შედეგები და დასახეს მეათე ხუთწლედის პირველი წლის ამოცანები.

დიდი და პრინციპული სჯა-ბაასი გაიმართა ნაკლოვანებებზე, რომლებიც გასულ სეზონში იყო, იმაზე, რომ არ გაიმორონ ეს ნაკლოვანებანი და არ დაუშვან ახალი შეცდომები.

შეკრების მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო უყაირათობას, ამაღლდეს დისციპლინა და პასუხისმგებლობა, შეიქმნას შრომითი აქტივობის ატმოსფერო წარმოების ყველა უბანზე. პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაპყრონ ამას, რომ მშრომელებს ჩაუნერგონ შრომისადმი შეგნებული, ნამდვილად კომუნისტური დამოკიდებულება, დღეგიადგ ზრუნავდნენ მათი საჭიროებებისათვის, ქმნიდნენ ყველა პირობას ნაყოფიერი მუშაობისათვის.

შეკრებაზე აღინიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუჯობესებას. არ არის ოჯახი, სადაც ქართულ ჩაის არ სვამდნენ. ეი რატომ უნდა იყოს მისი ხარისხისათვის ზრუნვა თვითეული მეჩაიის, ჩაის მრეწველობის საწარმოთა თვითეული მუშაკის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების ღირსების საქმე.

მაგრამ ხარისხისათვის ბრძოლა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შეიძლება შევამციროთ ნედლეულის კრეფა, მაშასადამე, პროდუქციის გამოშვებაც.

შეკრების მონაწილეთა გამოსვლებს წითელ ზოლად გასდევდა ის აზრი, რომ მეათე ხუთწლედის პირველ წელი უნდა გახდეს წელი, როცა საძირკველი ეყრება მთელი ხუთწლედის წარმატებას, წელი, რომელიც გარდამტეხი უნდა გახდეს ხარისხისათვის ბრძოლაში.

შეჯიბრების ძმედითობა წარმატების საფინდარია

თვითეული დღე დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანები მხურვალედ ეხმაურებიან კონკრეტული საქმეებით უპასუხონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მრავლდება მეჩაიეთა რიგებიც, რომლებიც ჩაებნენ ჩაის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის გადიდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ შეჯიბრების დროს ვლინდება მშრომელთა საუკეთესო თვისებები, ბევრი საყურადღებო თაოსნობა, პატრიოტული მოძრაობა.

ქართველმა მეჩაიეებმა დაამკვიდრეს კარგი ტრადიცია — ვადამდე უპატაკოს სამშობლოს, პარტიას ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებისა და ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. ასე იყო მეცხრე ხუთწლედშიც. მაგრამ გამარჯვება თავისთავად არ მოსულა. იგი მწვანე პლანტაციების შუშაკთა ნამდვილად გმირული შრომის შედეგი იყო. მაღალი ორგანიზებულობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, პოტენციური ძალების სწორი გამოყენება, ახალგაზრდული შემართება, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, მუშათა კლასის, მშრომელი ინტელიგენციის დიდი დახმარება და მხარდაჭერა, დამამზადებელი ორგანიზაციების, ვაჭრობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა შეთანხმებული შრომა— ყოველივე ამან რეალური საფუძველი შეუქმნა წარმატებას.

ქართველმა მეჩაიეებმა დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის წარმატებებში, რისთვისაც ივი დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ სასიხარულო და აღმაფრთოვანებელია შთაგონება, რომლითაც ქართველი მეჩაიეები შრომობდნენ და გაიმარჯვეს ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. ყველაფერი, რაც მეცხრე ხუთწლედში გაკეთდა, მიღწეული მიჯნები ახალი მწვერვალების დალაშქვრის საწინდარია.

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ ნათქვამია, რომ 1980 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება რესპუბლიკაში 355 ათას ტონამდე უნდა გადიდდეს. ეს დიდი, მაგრამ სავსებით რეალური ციფრია. უნდა გავიხსენოთ, რომ მეჩაიეებმა მეცხრე ხუთწლედში სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მიჰყიდეს 155 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიერ 120 მილიონი მანეთის ზეგეგმიანი პროდუქციის წარმოებაში მათმა წილმა 50,2 მილიონი მანეთი შეადგინა.

შეკრებაზე დასასახელეს მეცხრე ხუთწლედის გმირები, ისინი, ვინც თავდადებული შრომით უდიდესი პატივისცემა, საყოველთაო-სახალხო აღიარება დაიმსახურა. ესენი არიან ჩაის პლანტაციების ჩვენი სახელგანთქმული ვეტერანებიც ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია, სოციალისტური შრომის გმირები ტ. ჩხაიძე, ლ. ტკაიძე, ა. ვოუბა... ესენი არიან შესანიშნავი ოსტატებიც, რომლებმაც სახელი გაითქვეს არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, — ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. მეუნარგია, ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა განახლების კოლმეურნეობის მეჩაე მ. ყაჟეიშვილი, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთის კოლმეურნეობის მეჩაე ე. ჩხაიძე, წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კ. ლაშხია და ბევრი, ბევრი სხვა.

სწორედ მათ, სოფლის მშრომელ ადამიანებს, ეკუთვნით დღევანდელი დღის საბრძოლო დევიზი: „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით!“, „ხარისხი — ჩვენი მთავარი საზრუნავი!“. ესენი არიან ხუთწლედის მოწინავეები.

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში

მშენებლობაში მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „მშენებლობაში მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად სამშენებლო ინდუსტრიის, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებისა და საპროექტო ორგანიზაციების კოლექტივების ინიციატივის გავრცელების შესახებ“ და მიიღო შეხსენებანი დადგენილება.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მშენებლობა ბეგრმა კოლექტივმა გამოიჩინა ინიციატივა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა მშენებლობაში მომჭირნეობისა და ყაირათიანობის გზით გამოავლინონ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების დამატებითი რეზერვები.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის დიდბანელიანი სახლთმშენებლობის ქარხნის კოლექტივმა გადაწყვეტა თავისი საწარმოო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად მიიჩნიოს საშენ მასალათა დაზოგვის დონე. პროგრესული კონსტრუქციებისა და ტექნოლოგიური რეჟიმების დანერგვა, პროდუქციის მასალატევადობის შემცირება შესაძლებელს გახდის 1976 წელს პროდუქციის თვითღირებულება გაიაფდეს ერთი პროცენტით და დაზოგოს 46 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 14 ტრესტის მუშა-მოსამსახურეებმა ვალდებულება აიღეს ბრიგადული იჯარის ფართოდ დანერგვის, წარმოების კულტურის ამაღლების, მასალების მომჭირნედ ხარჯვისათვის ბრძოლის გაძლიერების გზით 1976 წელს დაზოგონ 100 ტონა ლითონი, 300 ტონა ცემენტი, 20 ათასი კვადრატული მეტრი სახურავი მასალა, 100 კუბური მეტრი ხე-ტყე.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, გორის № 3 ტრესტისა და გურჯაანის № 4 ტრესტში შექმნილია საშენ მასალათა უყაირათო ხარჯვის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია. კომისიის მუშაობას სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები. წლეულს ამ კოლექტივებმა მიზნად დაისახეს დაზოგონ 92 ტონა ლითონი, 370 ტონა ცემენტი, 1,7 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა.

წარმოებაში ყველაზე რაციონალურ სინჯირო გადაწყვეტათა დანერგვის გზით საქმთავარმონტაჟსპეცმშენის ტრესტ „საქელექტრომონტაჟში“ დაზოგდება 50 ტონა ლითონი, 1200 მეტრი კაბელის პროდუქცია, 1,5 პროცენტით შემცირდება მასალების დანაკარგები და ნარჩენები სამუშაოთა წარმოების დროს. ამ ღონისძიებათა შედეგად მიღებული ეკონომიური ეფექტი 50 ათას მანეთს გადააჭარბებს. ვალდებულებებს ფართოდ დაუჭირეს მხარი ტრესტის ყველა ქვედანაყოფში.

ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მუშა-მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს რესურსების რაციონალური გამოყენების გზით დაზოგონ 36 ათასი მანეთის მასალა.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საშენი მასალებისა და კერამიკის კომბინატის კოლექტივებმა იკისრეს ვალდებულებები დაზოგონ 180 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი, 160 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. დადგენილია, რომ ყველა უბანმა და საამქრომ ყოველთვიურად ჩაბარაოს ანგარიში, თუ როგორ ასრულებს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.

მშენებლობაში მომჭირნეობისათვის მოძრაობას მხარი დაუჭირა საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის კოლექტივმა, რომელმაც მიზნად დაისახა დასაპროექტებელი ობიექტების მასალატევადობისა და საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე შრომითი დანახარჯების შემცირების გზით 0,5 პროცენტით შეამციროს მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, მოწონებულ იქნეს სამშენებლო ინდუსტრიის, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებისა და საპროექტო ინსტიტუტების კოლექტივების ვალდებულებები, რომლებმაც გამოიჩინეს ინიციატივა გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა მშენებლობაში მომჭირნეობისა და ყაირათიანობის გზით გამოავლინონ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების დამატებითი რეზერვები.

რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებს, სამშენებლო ინდუსტრიის, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებსა და საპროექტო ორგანიზაციებს, რომ მხარი დაუჭირონ ინიციატიას მშენებლობაში მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ, შეიმუშაონ და განახორციელონ სამშენებლო წარმოების ყველა უბანზე მატერიალური რესურსების ხარჯვის შემცირების ღონისძიებები;

გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ტრესტებს, მშენებლობის სამმართველოებს, უბნებს, ბრიგადებსა და ცალკეულ მუშებს შორის საშენ მასალათა მომჭირნედ და ყაირათიანად ხარჯვისათვის;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მატერიალური რესურსების სწორ ტრანსპორტირებას, შენახვასა და აღრიცხვას, ინერტული მასალების ხარისხს და ბეტონისა და რკინა-ბეტონის ნაწარმის სრულ საქარხნო მზაობას.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ საჭიროა ამაღლდეს ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა საშენ მასალათა მომჭირნეობის დასახულ ღონისძიებათა შესრულებისათვის.

საქართველოს პროფსაბჭოს დაევალა ორგანიზაციათა და საწარმოთა 1976 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით განსაზღვროს და წაახალისოს მშენებლობაში მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაავალა ფართოდ დაუჭირონ მხარი სამშენებლო ინდუსტრიის, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოსა და საპროექტო ინსტიტუტების კოლექტივების ინიციატივას, სრულყონ შეჯიბრების ფორმები და მეთოდები. საჭიროდ არის მიჩნეული კიდევ უფრო გაძლიერდეს ორგანიზატორული მუშაობა მშენებლობაში უყაირათობისა და ფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დასარაზმავად. (საქინფორმი).

სურათზე: სახალხო მოსამართლეთა არჩევნების თბილისის № 8 საარჩევნო უბანში ხმას აძლევენ სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის სტალინის სახელობის ელმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ბ. ბაჩეჩილაძე (ცენტრში), მისი ვაჟიშვილი, ამავე ქარხნის მუშა მ. ბაჩეჩილაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. ტრიპოლსკი (მარჯვნივ) და ახალგაზრდა ამომრჩეველი ლ. ხეირბნიანი.

ხ. კილაძის ფოტო.

ხმა მისცეს კანონიერებას

სახალხო მოსამართლეთა არჩევნები

ხალხის დიდი ნდობა

საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნებითა და დარაზმულობით მისცეს ხმა მართლმსაჯულების ორგანოებში თავიანთ ღირსეულ წარმომადგენლებს

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში ჩაიარა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეთა არჩევნებმა.

როგორც იყო ველი არჩევნების დროს, ისევდაც სადღესასწაულოდ იყო მორთული საქართველოს ქალაქები და სოფლები, ლამაზად გამოიყურებოდა ლოზუნგებით, პლაკატებით, ტრანსპარანტებით გაფორმებული საარჩევნო უბნების შენობათა ფასადები, ყველგან საზეიმო განწყობილება სუფევდა. ჩვენი მშრომელები — მუშები, კოლმეურნე გლეხები, ინტელიგენცია კარგი გუნება-განწყობით მიემართებოდნენ საარჩევნო უბნებისაკენ, რათა მოეხდათ მოქალაქეობრივი მოვალეობა, განეზორციელებინათ კონსტიტუციური უფლება — ხმა მიეცათ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებისათვის. მართლმსაჯულების ორგანოებში თავიანთი წარმომადგენლებისათვის.

ლილის საათებშივე ათასობით თბილისელმა მიაშურა საარჩევნო უბნებს, სადაც სახალხო მოსამართლეობის 36 კანდიდატი იყრიდა კენჭს.

შუადღისათვის დედაქალაქის ლენინის, პირველი მაისის, ოქტომბრის, 26 კომისრის, კალინინის, კიროვის, ორჯონიკიძის, საქართველოს რაიონების ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა უდიდეს უმრავლესობას თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა უკვე მოხდილი ჰქონდა.

დიდი გამოცოცხლება იყო აფაზეთის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებსა და რაიონებში, სოფლებსა და დაბებში. გულმხურვალებითა და ნამდვილი პოლიტიკური შეგნებულობით აქტიურმა მშრომელებმა ხმა მისცეს თავიანთ რჩეულებს, სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს, რითაც დაადასტურეს იმ ადამიანებისადმი დიდი ნდობა, ვინც თავისი მოღვაწეობა მართლმსაჯულების სამსახურს უნდა მიუძღვნას. მშრომელთა ფართო მასების აქტიურობით გამოირჩეოდა ეს დღე ავრეთვე საქართველოს სხვა საარჩევნო და სასოფლო-სამეურნეო ცენტრებში, ყველა ქალაქსა და რაიონში, სოფლისა და დაბაში, მთაში და ბარში. შუადღისათვის ქუთაისში, რუსთავში, ფოთში, ჭიათურაში, გორში, ტყიბულში, თელავში, ზუგდიდში, მახარაძეში, სიღნაღში, ონში, ყაზბეგში, წალენჯიხაში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, ხაშურში, წოთელწყაროში, ზესტაფონში და საერთოდ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ტერიტორიაზე მოწყობილ ყველა 3.055 საარჩევნო უბანში, სადაც სახალხო მოსამართლეობის 168 კანდიდატი იყრიდა კენჭს, ხმის მიცემა თითქმის დამთავრებული იო.

სახალხო მოსამართლეების არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამან, ვინც მომავალ სახალხო მოსამართლედ იქნება არჩეული, თავისი ცხოვრებით, შრომითა და მოღვაწეობით, ხალხის ერთგული სამსახურით აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, ადამიანთა შეგნებაში წარსულის მავნე გადმონაშთების აღმოფხვრას, სამშობლოს და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით ჩვენი მოქალაქეების აღზრდას.

კანონის ღრმა ცოდნა, მისი მტკიცედ დაცვა, ადამიანისადმი გულისხმიერება და პატიოსანი დამოკიდებულება სახალხო მოსამართლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმირველესი დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს.

ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო მოსამართლეების არჩევნებმა ნამდვილად რომ პოლიტიკური აღმავლობით, მშრომელთა აქტიურობით და ერთსულოვნებით ჩაიარა. საბჭოთა ადამიანები მტკიცე რწმენას გამოთქვამდნენ, რომ მომავალი სახალხო მოსამართლეები, რომლებიც ხალხმა აირჩია, გაამართლებენ ნდობას, მართლმსაჯულების სამსახურში უმწიკვლო შრომით დირსეულ წვლილს შეიტანენ პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულ ლობათა ხორცშესხმაში, საბჭოთა მართლმსაჯულების შემდგომ სრულყოფაში, მის განმტკიცებასა და განვითარებაში.

17 აპრილი ლენინური შაბათობის დღეა

ტრადიციულად, დაგეგმარებულად

თბილისი. ტრადიციულად დამკვრელური შრომით ეგებებიან შაბათობის დღეს დედაქალაქის ლენინის სახელობის რაიონის სამრეწველო, სატრანსპორტო საწარმოები, მშენებლები, ყველა მშრომელი, ისინი, როგორც ყოველთვის, ახლაც ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ მოსკოველთა ინიციატივას და შაბათობის დღისათვის გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს.

რაიონის 90 ათასი მშრომელი დადგება შაბათობის გასაზე. აქედან ძირითად სამუშაოს შესასრულებს 25 ათასი კაცი, რომლებიც გამოუშვებენ 1 მილიონ 800 ათასი მანეთის პროდუქციას, გაცილებით მეტს, ვიდრე წინა შაბათობაზე და ხუთწლედის ფონდში შეიტანენ 85 ათას მანეთს.

შაბათობისათვის კარგად მოემზადნენ რაიონის მსხვილი საწარმოების — ელმავალსამშენებლო, ჩარხსამშენებელო, ფოლად-თუჯსამსმელი ქარხნების კოლექტივები. რაიონის შაბათობის მოძღვრებ შტაბში ყოველდღიურად მოდის ცნობები, რომ მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის მუშაკები, რაიონის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეები, მოსახლეობა მზად არის დამკვრელურად აღნიშნონ შაბათობის დღე („კომ“. კორ.).

□

დაზოგილი საწვავით

ბათუმი. (საკ. კორ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემების ეკიპაჟები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მოსკოველთა თაოსნობას კომუნისტური შაბათობის მოწყობის შესახებ.

ტანკერ „ალექსეევკიდან“ რადიოთი იტყობინებიან, რომ ეკიპაჟმა გადაწყვიტა 17 აპრილს იმუშაოს დაზოგილი საწვავით, გადაიტანოს 20 ტონა ზეგეგმითი ტვირთი, უსასყიდლოდ შესასრულოს 288 კაც-საათის სამუშაოები.

თბომავალ „ფილიპე მახარაძის“ ეკიპაჟს გადაწყვეტილი აქვს კომუნისტურ შაბათობაზე დღიური გეგმა 110 პროცენტით შეასრულოს და გამომუშავებული თანხა ხუთწლედის ფონდში ჩარიცხოს.

□

ხუთწლედის ფინიშში

თელავი. (საკ. კორ.). სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი გ. ორთოიძე) კოლექტივი გულმოდგინედ ემზადება ლენინური შაბათობისათვის. საამქროებში, უბნებზე, ბრიგადებში გადაწყვიტეს ლენინური შაბათობის დღე გადაქცევინონ ყველაზე ნაყოფიერ დღედ, გამოუშვან მხოლოდ მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

შაბათობაში მონაწილეობს მიიღებს 650 კაცი. მათ ვალდებულება იკისრეს გამოუშვან 20 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც დღიური ნორმის 105 პროცენტი იქნება. გამომუშავებული ხელფასი 1.200 მანეთი ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

1976 წლის 15-16 აპრილს მოწვეულია

საქართველოს კინემატოგრაფიკოსთა მეოთხე ყრილობა.

ყრილობა გაიხსნება 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ხხდომათა დარბაზში (რუსთაველის პრ. № 8).

დელეგატების რეგისტრაცია იწყობოს 15 აპრილს დილის 10 საათიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში.

მეტი მაღალი ხარისხის ქართული ჩაი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

ბი, რომლებიც გვიჩვენებენ უანგარო შრომის მაგალითებს, მუშაობას ახმარენ მთელ თავიანთ სულსა და გულს და პირნათლად დგანან დამკვრელურ ვახტზე, საძირკველს უყრიან ახალ წარმატებებს.

ავამოქმედოთ რეზერვები, გაანვავითაროთ ინიციატივა და გერგილიანობა

მეცხრე ხუთწლედის მიღწევები გვაკალებენ მოვიპოვოთ ახალი წარმატებანი, მით უმეტეს, რომ წინ კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანებია გადასაწყვეტი. ამიტომ როგორც მოხსენებებში, ისე გამოსვლებში მთავარი ყურადღება დაეთმო შედეგების ანალიზს, შესაძლებლობათა სწორ შეფასებას, არსებული რეზერვების ამოქმედების ღონისძიებათა შემუშავებას.

მეცხრე ხუთწლედში პირველხარისხოვანი ჩაის ფოთლის გამოსავლიანობა 4,5 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა მთლიანი მოსავლის 70 პროცენტი. შესაბამისად გაიზარდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავალიც. მაგალითად, კოლეურნეობებმა მიიღეს 206,2 მილიონი მანეთი, საბჭოთა მეურნეობებმა — 72,1 მილიონი მანეთი შემოსავალი.

მნიშვნელოვნად გადიდდა საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა. 1975 წელს თვითეულ ჰექტარზე მიღებული იყო საშუალოდ 60,1 ცენტნერი ფოთოლი. მეჩაიეები სრულიად საფუძვლიანად და საქმით ამტკიცებენ, რომ ეს სრულიადაც არ არის ზღვარი. საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი გამოუყენებელი რეზერვები გვაქვს. შეკრებაზე მოიყვანეს ცალკეული კოლმეურნეობებისა და მთელი რაიონების მაგალითები, სადაც მწვანე ფოთლის მოსავლიანობა მეტად დაბალია. მაგალითად, ჩოხატაურის რაიონის სოფლების დიდი ვანის, ხვეის, ზემო სურებისა და შუა სურების კოლმეურნეობებში ჰექტარზე მიღებულია სულ 26-30 ცენტნერი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მთლიანად წულუკიძის რაიონში ჩაის ფოთლის საშუალო ჰექტარობრივმა გამოსავალმა შეადგინა 44 ცენტნერი, ხოლო სოფლების წითელი ვარსკვლავის, კონტუთისა და კუხის კოლმეურნეობებში ამაზე ნაკლებიც — 17,30 ცენტნერი. მცირე მოსავლიანობას ვერავითარი ობიექტური მიზეზებით ვერ გავამართლებთ. მეზობელმა რაიონებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ხომ მოიწიეს კარგი მოსავალი.

საქმე ის არის, რომ ჩამორჩენილი რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, სპეციალისტები ჯეროვნად არ ზრუნავენ პლანტაციების მდგომარეობისათვის, მცენარეებისა და ნიადაგის მოვლის აგროწესების დროულად შესრულებისათვის, სათანადოდ არ ებრძვიან უყაირათობას, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს, ძალიან ცოტა ყურადღებას უთმობენ ინიციატივისა და გერგილიანობის განვითარებას.

შეკრებაზე აღინიშნა, მაგალითად, რომ წულუკიძის რაიონის სოფელ ნახახულევის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ცუდად ამუშავებენ მწკრივთაშორისების ნიადაგს, მოუწესრიგებელია სადრენაჟო ქსელი, ხარისხიანად არ წარმოებს ბუჩქების მექანიზებული სხვლა, წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციები ძირითადად სარწყავია, მოსავლიანობა კი არ აღემატება 30 ცენტნერს. ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, ბევრია. ეს მოწმობს, რომ ადგილობრივი ორგანოები სუსტად ხელმძღვანელობენ ჩაის მეურნეობას.

ჩაი მეტად შრომატევადი კულტურაა. იგი ყოველდღიურ ზრუნვას მოითხოვს. ერთი ჰექტარი პლანტაციის მოვლას ყოველწლიურად 450-500 კაცდღე ხმარდება.

განსაკუთრებით უნდა ვზრუნავდეთ ახალგაზრდა პლანტაციებისათვის. მაგრამ ზოგიერთ მეურნეობაში პლანტაციები არ არის შემოღობილი, იქ თავისუფლად დადის პირუტყვი, ფუქდება ბუჩქები. ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ახალგაზრდა ნარგავები ძლიერ მეჩხერია, შესავსებად დარგული ბუჩქების 50 პროცენტი დაღუპა. ამავე დროს, ამ კოლმეურნეობის ზოგიერთ ნაკვეთზე მწკრივთაშორისებს ზერელედ და უხარისხოდ ამუშავებენ.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ჩაის პლანტაციების სიმეჩხერის ლიკვიდაციაზე. ამაზე ლაპარაკი იყო შარშანაც ანალოგიურ შეკრებაზე აქ, ქუთაისში, რა გაკეთდა მას შემდეგ? 1975 წელს აღირიცხა გამეჩხერებული პლანტაციები. შედეგები დამაკმაყოფილებელი არ არის. დაზუსტებულია, რომ დღეისათვის ჩაის პლანტაციების სიმეჩხერე შეადგენს 10.729 ათას გრძივ მეტრს, რაც შეესაბამება 1.800 ჰექტარს. გაანგარიშებანი გვიჩვენებენ, რომ სიმეჩხერის ლიკვიდაცია საშუალას მოგვცემს გავადიოთ ჩაის ფოთლის მოსავალი 10-12 ათასი ტონით. ეს საგრძნობი რეზერვია, იგი მთლიანად უნდა გამოვიყენოთ, და რაც მთავარია, მალე.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიული კულტურების სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, შეარჩია უხვმოსავლიანი კლონი, რომელიც მაღალხარისხოვან ნედლეულს იძლევა. ინსტიტუტმა ვეგეტატიური წესით მოაშენა ეს კლონი და მეურნეობებში გაშენდა ჰექტარზე მეტი პლანტაცია. ინსტიტუტმა უნდა დაამზადოს 63 მილიონი ნერგი. ამოცანა ის არის, რომ მიმდინარე ხუთწლედში გავაშენოთ ახალი პლანტაციები და შევავსოთ გამეჩხერებული პლანტაციები მხოლოდ ამ უხვმოსავლიანი კლონის ნერგებითა და თესლით.

შეკრების ტრიბუნიდან მთელი ხმით გაისმა, რომ საჭიროა ამაღლდეს პროდუქციის ხარისხი და შეიცირდეს მისი თვითღირებულება. ამ ამოცანის გადაწყვეტა უნდა დაიწყოს პლანტაციაში. ამავე დროს ზოგან უხეშად არღვევენ ჩაის კრეფის წესებს. ნორჩ ფოთოლს კრეფენ რბილ ტარაში, ყუთებში ტკეპნიან და ამავე დროს დაგვიანებით მიაქვთ გადასამუშავებლად.

გასული წლის ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ეერიშობანა. მაგალითად, შარშან 30 მაისს მოკრეფილი იყო 4.500 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, 31 მაისს — 4.700 ტონა, 1 ივნისს — მხოლოდ 1.700 ტონა, 2 ივნისს — 1.800 ტონა და ასე შემდეგ. ანალოგიური მდგომარეობა შეიმჩნევა სხვა თვეებს მიწურულსა და დამდეგს. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ხელოვნურად აჩერებდნენ ფოთლის კრეფას მასობრივი ვეგეტაციის მოლოდინში. საქმე ის არის, რომ ზოგან ყოველდღიურად არ კრეფენ ჩაის შერჩეით, მასობრივ კრეფას კი ძირითადად იწყებენ თვის დამდეგს, შემდეგ კი ანელებენ კრეფის ტემპს.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი მაღალ მოთხოვნებს უყენებს არა მარტო სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკებს, ჩაის ხარისხის ამაღლებაში ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ტრანსპორტის მუშაობაზეც. შარშან იყო შემთხვევები, როცა ავტომანქანებს დროზე არ მიჰქონდათ ნედლეული მიმღები პუნქტებიდან ფაბრიკებში. მაგალითად, ნარეჯის საბჭოთა მეურნეობაში ავტომანქანების მოცდენამ შეადგინა 5.300 საათი, რის შედეგად მეურნეობამ იზარალა 7.200 მანეთი, დაქვეითდა ჩაის ხარისხიც ნედლეულის ჩაწოლის გამო.

მეჩაიეობას — თანამედროვე ტექნიკა

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ჩაის ფოთლის მთელ მოსავალს ხელით კრეფდნენ. შემდეგ გაჩნდა ჩაის საკრეფი მანქანები, ხელის ჩაის საკრეფი აპარატები. განსაკუთრებულ ხუთწლედში კოლმეურნეობებში მექანიკური წესით მოკრიფეს 55.364 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. მაგრამ ამან ვერ ბოლოდ 75,1 პროცენტი შეადგინა. შარშან პირველად შესრულდა ფოთლის მექანიზებული კრეფის გეგმა. ჩაის საკრეფი მანქანის მწარმოებლობამ საბჭოთა მეურნეობებში სეზონის მანძილზე შეადგინა 46 ტონა, კოლმეურნეობებში — 33 ტონა. 17-დან რვა რაიონმა ვერ შეასრულა მანქანური კრეფის გეგმა, მათ შორის გალის, ოჩამჩირის, წულუკიძის, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონებმა.

ძველ დაბალი მანქანებით მოკრეფილი ნედლეულის ხარისხი. მათ მიერ მოკრეფილი ფოთლის მხოლოდ 51 პროცენტი იყო პირველი ხარისხის.

შარშან რესპუბლიკაში ჰქონდათ 1.034 ხელის ჩაისსაკრეფი აპარატი, რომელთაგან მხოლოდ 731 მუშაობდა. მეცხიერებისა და თვით მეჩაიეების დასკვნით, ხელის ჩაისსაკრეფი აპარატები დიდ ყურადღებას იმსახურებენ. შარშან, მაგალითად, ამ აპარატებით მოკრიფეს 3.376 ტონა ფოთოლი, თანაც მისი 61,4 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. ერთი აპარატის ნაყოფიერებამ სეზონში 4,5 ტონა შეადგინა, ცალკეულმა მეჩაიეებმა ამ აპარატებით 7-8 ტონაც კი მოკრიფეს. ამოცანა ის არის, რომ არა მარტო გავადიდოთ ხელის ჩაის საკრეფი აპარატების მწარმოებლობა, არამედ მაქსიმალურადაც გავზარდოთ პირველი ხარისხის ნედლეულის გამოსავლიანობა.

ამ სეზონში დაგეგმილია ჩაის საკრეფი მანქანებითა და ხელის აპარატებით მოკრიფოთ 52.520 ტონა ფოთოლი.

შეკრებაზე პრეტენზიები გამოთქვეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნის მიმართ, რომლის მეტრნახევრიან მწკრივთაშორისებში სამუშაოდ განკუთვნილ „ჩე-650“ მანქანებს ხარვეზები ჰქონდათ. დაბალი ხარისხის გამო 30 ასეთი მანქანა, რომლებიც საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა მიიღეს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, არ გამოუყენებიათ ბუჩქების სასხლავად. ქარხანა იძულებული იყო ადგილზე გაეგზავნა შემკეთებელი ბრიგადა დეფექტების აღმოსაფხვრელად. ეს მანქანა საერთოდ კონსტრუქციულ დახვეწას საჭიროებს.

შეკრებაზე ყურადღება დაეთმო მექანიზაციის, განსაკუთრებით მცირე მექანიზაციის დანერგვის საკითხებს. მცირე მექანიზაციის საშუალებით შეიძლება შეასრულოთ პლანტაციების მოვლის დიდი სამუშაოები. მცირეგაბარიტიანი მანქანები, ხელის აპარატები ძვირი არ ჯღება, მათი შეძენა შეუძლია მეჩაიეობის რაიონების თითქმის ყველა მეურნეობას.

შეკრებაზე შეეხნენ მცირე მელიორაციასაც. თვითეულ რაიონში შეიძლება შეექმნათ და კიდევაც უნდა შეექმნათ სპეციალური საირიგაციო სქემები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ მოვარწყათ ჩაის პლანტაციები გვალვის დროს.

შეკრების მონაწილეებმა მოიყვანეს სასუქების არაორგანულური გამოყენების, მათი დოზირების, ნიადაგში შეტანის ვადებისა და წესების დარღვევის მაგალითები.

წელს რესპუბლიკის მეჩაიეობის მეურნეობათა მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე ძირითადად დაკმაყოფილებულია. გაკეთებულია 100,2 ათასი ტონა აზოტიანი სასუქი, 7,6 ათასი ტონა სუპერფოსფატი, 9,9 ათასი ტონა კალიუმი, 20,2 ათასი ტონა ფოსფორიტის ფხვნილი. მეურნეობებმა უნდა იზრუნონ ორგანული სასუქების, განსაკუთრებით ტორფიანი სასუქების დამზადებისათვის. მაგრამ, სწორედ ტორფის გამო არის შეფერხება. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება ტორფიან სასუქებზე 500 ათას ტონას აღემატება. ამავე დროს ფოთოლის ქარხანას დაგეგმილი აქვს მხოლოდ 153 ათასი ტონის წარმოება. ახლა ტორფის ქარხანა გადაეცა „სავსოფლტექნიკას“, რომელმაც უნდა იზრუნოს მისი მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

ავამაღლოთ შრომის ორგანიზაციის დონე

შრომის ორგანიზაციის დრმად გააზრებული სისტემა, მიწათმოქმედების მაღალი კულტურა მნიშვნელოვან შედეგებს გვაძლევს, გვეხმარება სოფლის მშრომელებს ჩაეუნერგოთ მიწის ბატონ-პატრონის გრძნობა, მნიშვნელოვანი საქმისათვის პასუხისგებლობა. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებით დიდად უნდა იზრუნონ ჩაის ფოთლის კრეფისათვის მომზადებისა და თვით ჩაის კრეფისათვის. კოლეგიერის „ულანგლივ ყველა რეგიონ — პლანტაცია — ჩაის ფაბრიკა — ყოველსახივ უნდა ხელნენ მზად ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების სეზონისათვის. უნდა ვიმონიოთ 70 ათასი კალთა, რომელთაგან 67 ათასი უკვე დაპხადებულია, 101 ათასი უუთი ფოთლის ტრანსპორტირებისათვის, 7.420 სასწორი, 4.420 ვეიდრატული მეტრი ბრეზენტი და სხვა.

კრეფის სეზონამდე სულ ცოტა დრო დარჩა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მეგძიმოთ ან დავაჩქაროთ ინვენტარი, რომელიც გვაკლია. აღინიშნა, რომ ამ ორგანიზაციებისა და საწარმოების კოლექტივები, რომლებზეც დამოკიდებულია ეს, გვიჩვენებენ, რომ ყველა საჭირო ღონისძიებას განახორციელებენ. პლანტაციის მშრომელები დარწმუნებული ვრიან, რომ ისინი ძირობას შეასრულებენ.

რესპუბლიკის მეჩაიეებმა მეცხრე ხუთწლედში დამკვრელური შრომით დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ შეასრულონ გეგმები და გადიდებული ვალდებულებანი. მაგრამ მათ უნდა შეეუქმნათ შესაბამისი პირობები დიდად ნაყოფიერი შრომისა და კარგი დასვენებისათვის.

შეკრების დარბაზში.

ამასთანავე, როგორც ხაზგასმით აღინიშნა შეკრებაზე, ზოგიერთ ბრიგადაში, მთელ მეურნეობებშიც კი შექმნილი არ არის მინიმალური პირობები საბუშაო დღის განმავლობაში მეჩაიეთა დასვენებისთვის. რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღმოვფხვრათ ეს და სხვა ნაკლოვანებები, ვიზრუნოთ სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, რომელთა მეტი ნაწილი დასაქმებული არის ხელმე ჩაის ფოთლის კრეფაზე. ჩაის ფოთლის კრეფის დღეებში უნდა მოვაწყოთ პლანტაციებში ცხელი კერძების მტანი. მეჩაიეები არ უნდა დაავიწყონ კულტურის მოღვაწეებიც. მსახიობთა ყოველი ჩამოსვლა სოფელში ხომ ნამდვილი დღესასწაული ხდება, რის შემდეგ მუშაობაც უფრო ხალისიანია.

სრულვყოთ ჩაის ფაბრიკების მუშაობა

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსავლის ხარისხიან გადამუშავებას. 1975 წელს ჩაის მრეწველობამ გამომუშავა 553,8 მილიონი მანეთის პროდუქცია, აქედან გეგმის გადამეტებით 32,6 მილიონი მანეთისა. გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა წარმატება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების შეწყობილი მუშაობის, მუშათა და სპეციალისტთა თავდადებული შრომის შედეგია. ჩაის ფაბრიკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად განხორციელებულმა ღონისძიებებმა ნაყოფი გამოიღეს. შარშან ჩაის ფოთლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებში შეიცვალა და დამონტაჟდა ათასზე მეტი ერთეული ტექნოლოგიური მოწყობილობა. 1974-1975 წლებში განხორციელდა მეტი წილი სახარისხებელი მანქანების მოდერნიზაცია. თითქმის ყველა ფაბრიკაში დაინერგა ნახევარფაბრიკატებს დახარისხების ახალი სქემა, რამაც საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვუმჯობესებინა დახარისხების პროცესი. წინა წლებთან შედარებით პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესეს მახარაძის, ზუგდიდის, წყალტუბოს, წულუკიძის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, მთელმა რიგმა სხვა საწარმოო გაერთიანებებმა და ამ გაერთიანებებში შემავალმა ჩაის ფაბრიკებმა.

საქმე, უწინარეს ყოვლისა, ეხება ქართული ჩაის ხარისხს. ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ვიუენებთ ჩაის წარმოების გადიდების არსებულ რეზერვებს. ჩაის მრეწველობაში სიმძლავრეთა ზრდისა და ტექნიკური პროგრესის ტემპი ჯერ კიდევ ჩამორჩება ნედლეულის ბაზის ზრდის ტემპს, რის გამოც ყოველთვის ვერ ვახერხებთ დროულად მივიღოთ და გადავამუშაოთ მოსავალი, განსაკუთრებით მისი მაქსიმალური კრეფის პერიოდში.

გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა საქმიანობის ღრმა ანალიზი არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს მოწმობს.

ცალკეული საწარმოები, როგორც შეკრებაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ უშვებენ დიდძალ დანაკი ხარისხის პროდუქციას. ჩაის მრეწველობამ მეცხრე ხუთწლედში გამომუშავა მეორე და ნესანე ხარისხის 140 ათას ტონამდე პროდუქცია. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ 1975 წლის ივნისში სამტრედიის ჩაის ფაბრიკის თითქმის 11 ათასი ტონა პროდუქცია გაუსაღებელი დარჩა, საწარმო მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მოხსენებებსა და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ზოგიერთ ჩაის ფაბრიკაში მთელი რიგი პროცესების ტექნოლოგიური რეჟიმი ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის მაღალ ხარისხს. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია ფაბრიკების მოწყობილობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მათი ცუდი მომზადება სეზონისათვის.

ცალკეული ჩაის ფაბრიკების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა მაღალხარისხოვანი ჩაის პროდუქციის გამოშვების საქმეში აიხსნება იმითაც, რომ მოგვარებული არ არის შრომის ორგანიზაცია, დაბალია დისციპლინის დონე, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავის მოვალეობას. მაგალითად, შეკრებაზე მოიყვანეს ცხაკაიას ჩაის ფაბრიკების სარაინთაშორისო ეკონომიკების მაგალითი. 1974 წელს მან ჩაშალა მწკრივნე ბაიხაო ჩაის ასორტიმენტისა და წარმოების გეგმების შესრულება. თითქმის მთელი სეზონის მანძილზე გაერთიანების ფაბრიკებში ქმნდათ დარღვევები ნედლეულის დამზადებაში, ტრანსპორტირებასა და აღრიცხვაში. ამიტომ სამუშაოდან გაათავისუფლეს გაერთიანების გენერალური დირექტორი და ზოგიერთი ხელმძღვანელი თანამეგა.

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა ზუგდიდისა და წალენჯიხის გაერთიანებათა ცალკეულ ჩაის ფაბრიკებშიც.

არაკვალიფიციური და ზერელე ხელმძღვანელობის შედეგად 1975 სამეურნეო წელი ძალიან ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრეს მუხანეტატეს, ხელვაჩაურის, ბათუმის, ზედა ეწერის. აცანის, მამათის, ნაგომარის, ხაბუმის, ხობის ჩაის ფაბრიკებმა. იმის გამო, რომ აკლდათ მუშები და მოგვარებული არ იყო ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშაობა, ამ ფაბრიკებში წინა დღის მოსავალს ამუშავებდნენ მხოლოდ მოძეგენო დღეს, შესაბამისი ყურადღება არ ეთმობოდა აღრიცხვას, ნედლეულის ხარჯვისა და პროდუქციის გამოსავლიანობის სწორი ნორმების დადგენას.

გაერთიანებათა ზოგიერთი სპეციალისტი ღრმად არ სწავდებოდა საწარმოთა საქმიანობას, არ ანალიზებდა არსებულ მდგომარეობას და არ ახორციელებდა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებს. ეს უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენდა არა მარტო საწარმოს ნაყოფიერებაზე, არამედ შრომის დისციპლინაზეც.

ასეთ მდგომარეობას ვერ შეეურიგდებით. რესპუბლიკაში შექმნილია ყველა შესაძლებლობა ნაყოფიერი მუშაობისათვის, ადამიანთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ისინი ფართოდ უნდა გამოვიყენოთ.

შეკრებაზე გამოითქვა აზრი, რომ ექსპერიმენტის წესით რომელიმე საბჭოთა მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის ბაზაზე შეიქმნას აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება.

შეკრების მუშაობაში დიდი ადგილი დაეთმო მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა მორალური და მატერიალური სტიმულირების სწორი შეხამების საკითხებს. აღინიშნა, რომ საჭიროა ყოველნაირად წავახალისოთ რიგორც დიდად ნაყოფიერი, ისე მაღალხარისხოვანი მუშაობა. ეს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს. საჭიროა შეექმნათ ისეთი ვითარება, როცა თვითეულმა მშრომელმა იცის, რომ კარგი მუშაობისათვის მას წაახალისებენ მატერიალურადაც და მორალურადაც. ამ საქმეში დიდი თე არა გადაწყვეტი, როლი ეკუთვნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს — გაზეთების, ჟურნალების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მუშაკებს. მათ არა მარტო პროპაგანდა უნდა გაუწიონ, არამედ განაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება, გასაგებად და საინტერესოდ მოგითხრონ მეათე ხუთწლედის გმირების, ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლის გმირების შესახებ.

საქართველოს მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს მრავალჯერ დაუმტკიცებიათ, რომ მათ სიტყვას ყოველთვის კონკრეტული საქმეები მოსდევს. და მეათე ხუთწლედიც, მისი პირველი სასტარტო წელი, გამონაკლისი არ იქნება.

შეკრებამ უაღრესად საქმიან ვითარებაში ჩაიარა. მისმა მონაწილეებმა კარგად შეიგნეს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკების წინაშე დასახულ ამოცანებს, როგორც პირველი წლისათვის, ისე მთლიანად მეათე ხუთწლედისათვის. ამიტომ ისინი მტკიცედ ირიან დარწმუნებული, რომ მწვანე პლანტაციათა და გადამამუშავებელი მრეწველობის მშრომელები, რომლებსაც მათ მოუწოდეს 1976 წელს მოკრიფონ 335 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და გამოუშვან 84 ათასი ტონა მზა პროდუქცია, ერთსულოვნად გამოხმაურებიან მიმართვას, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა პირნათლად შეასრულონ გადიდებული ვალდებულებანი. ამის საწინდარია პატრიოტული მისწრაფება — ღირსეული საქმეებით უპასუხონ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს

(საქინფორმი).

ქუთაისში საქართველოს მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრების მუშაობის დღეს ქალაქის პარკში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მანქანები, რომლებსაც იყენებენ ჩაისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში. აქ ფართოდ იყო ნაჩვენები როგორც დიდი, ისე მცირეგაბარიტიანი მანქანები. ექსპონატთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავა ჩაის საკრეფ მანქანებს, მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს და ჩაის საკრეპ აპარატებს.

სურათზე: ქუთაისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ელექტრიკოსი ბ. ტუშეელაშვილი (მარჯვნივ) დამთვალიერებლებს აცნობს მცირეგაბარიტიან ოთხთვლიან ტრაქტორს, რომლის გამოყენებაც შეიძლება როგორც ჩაის პლანტაციაში, ასევე ვენახში და მინდვრებში.

ფოტო. ბ. ბინზაბურის ფოტო.

ХИЛДА — ЗОТАГРОНЕБУЛИ ШРОМИСАТВИС

გაიმართა რუსთავის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება.

მოხსენება „სკკპ XXV ყრილობის შედეგებისა და საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ“ გააკეთა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. მ. გიორგაძემ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა ო. ნ. სულთანმ, ქიმიური ქარხნის პარტკომის მდივანმა ლ. მ. ჩარკიანმა, სახალხო განათლების საქალაქო განყოფილების გამგემ კ. ა. ჯოლიამ, მეტალურგიული ქარხნის მარტინის საამქროს მეფოლადემ, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა მ. ა. ლომიძემ, რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. უბირიამ, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მგრეხავმა, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა მ. ვ. აბესაძემ, რუსთავის დრამატული თეატრის მსახიობმა ჯ. ვ. გაგნიძემ, საქართველოს ალკკ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ასანიშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს იმაზე, რომ რუსთაველი კომუნისტები, რესპუბლიკის ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის ყველა მშრომელი მთლიანად და სავსებით იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ კურსს და პრაქტიკულ საქმეთა სამნიანო და საგარეო პოლიტიკის დარგში, მათ მოქმედების საბრძოლო პროგრამად მიიღეს დებულებები და დასკვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც პარტიის ყრილობაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ა. ჩხეიძემ.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხ. ჩხეიძემ რუსთავის მშრომელთა წარმომადგენლებს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მადლობა.

ამ საქმეში ფიქრობენ ჩაეთვალოთ ეს ფაქტიც, ეს ფაქტი ბოლო ორ-სამ ათეულ ასეულ ადამიანზე, ეს ფაქტი ბევრ ადამიანზე, ეს ფაქტი ბევრ ადამიანზე, ეს ფაქტი ბევრ

მწერალი და ცხოვრება

ᲩᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚ ᲓᲦᲔᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ

ᲐᲚ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ, დრამატურგი

ᲒᲐᲠᲑᲐᲮᲜᲘᲡ წინათ ჩვენს სოფელში ერთი ენაწყლიანი ბერიკაცი ცხოვრობდა. იგი ბატონყმობის გაუქმებასაც მოსწრებია და რუსეთ-თურქეთის ომშიც მონაწილეობდა. საღამოობით, წისქვილში, დუქანში თუ შუაცეცხლთან ზღაპარივით ამბებს ყვებოდა. ახლა, რა თქმა უნდა, ღიმილით ვიგონებთ იმ ბერიკაცის ნაამბობს, ვინაიდან ჩვენ თვითონ ვცოცხლობთ ლეგენდარულ ეპოქაში და ასეკვ შეგვეძლება ოცდაშვიერეთ საუკუნეში შთამომავლობას ვუამბოთ, რომ მოწმენი და მონაწილენი ვიყავით გრანდიოზული მოვლენებისა — საშინელი ომისა, რომელმაც ოცი მილიონი საბჭოთა ადამიანი იმსხვერპლა და რომელშიც ჩვენ გავიმარჯვეთ, რომ ჩვენს თვალწინ ადამიანმა პირველად შეაღო კოსმოსის კარი და უპაერო სივრცეში გაინავარდა, რომ ჩვენს დროს აკიადფდა ტელევიზორის ჯადოსნური ეკრანი, აშენდა ბამი და ენგურჰესი, მრავალჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, გვინახავს სცენაზე ბაკაი ხორავა, სერგო ზაქარიაძე და ხელი ჩამოგვართმევია თვით გალაკტიონისათვის. ყველაფერ ამას ჩვენ მოეუთხრობთ შთამომავლობას კანონიერი სიამაყის გრძნობით და კიდევ ათას სხვა კითხვაზე გავცემთ პასუხს.

მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ასეთმა სასიამოვნო და თავის მოსაწონებელმა მასლაათმა, თუ კითხვა-პასუხის საღამოებმა ვერც დაკმაყოფილოს შთამომავალნი და ისეთი კითხვებიც დაგვისვან, რომ სირცხვილის ალმური ჩვენმა თეორმა ვერაფ

მაც კი ვერ დაფარის. არა და, როგორ გინდა უპასუხო შეიღთაშვილიშვილს, რუკას რომ დაგიდებს წინ, უცოდველი თვალებით შემოგაჩერდება და კითხავს, აქ რომ მდინარე გაღიოდა, აქ რომ ტყე შრიალებდა, რა უყავთო. იმასაც გკითხავენ, ასეთ შენობებს რომ აგებდით, თვალი სად გქონდათო, ან კიდევ ის დიდებული ტაძარი თქვენს თვალწინ რომ გაპარტახებულა, ამას რატომ აკეთებდითო?

ამ ოცდახუთი წლის წინათ აჯარის რადიოკომიტეტის ოპერატორთან ოვანეს მანუკიანთან ერთად ბათუმში შემოხვედით რომ არ ჩაგვეწერა დიდი გალაკტიონის ხმა, მისი „თთაწმინდის მთვარე“ და „მე და ღამე“, როგორ ეგონიათ, ჩვენი შთამომავლები არ გვისაყვედურებდნენ, ამდენს რომ ტრაბახობთ, რადიო და ტელევიზია ჩვენი თაობის წყალობაო, ეს როგორ მოგვიდათ, ჩვენი სახელოვანი წინაპრების ხმა, სახე თუ როული რომ ვერ შემოგვინახეთო.

კიდევ ბევრ სხვა კითხვასაც დაგვისვამენ, დაწყებული იქიდან, თუ რატომ გადაშენდა გურიაში ნაცარა ვაშლი, ან კიდევ როგორ ვითმენდით წლების მანძილზე ხელმძღვანელად მაგან და მაგან კაცს. დიახ, ყველაფერ ამას გკითხავენ და მოგვკითხავენ, და ჩვენ აღბათ ძალიან გაგვიჭირდება მომავალი თაობისათვის ზოგიერთ კითხვაზე პასუხის გაცემა და თვალის გასწორება.

შთამომავლობა ასეთ კითხვებს, უწინარეს ყოვლისა, დაუსვამს მწერალს, ხელოვანს, ჟურნალისტს, რადგან ჩვენ ყველაზე ადრე უნდა დავინახოთ და ყველაზე ხმამაღლა უნდა ვთქვათ სთქმელი. ჩვენ ყველაფერი გვესმება. დიახ; ასეთია ჩვენი პროფესია! ჩვენ გვეხება ისიც, თუ როგორ ამართლებს ხელმძღვანელი პარტიისა და ხალხის ნდობას და, თქვენ წარმოიდგინეთ ისიც, რატომ ღირს, მაგალითად, ჩვენს ბაზრებში კილოგრამი ვაშლი სამი-ოთხი მანეთი, ხოლო იმიერპოლარეთში, ვთქვათ, მურმანსკში 90 კაპიკი.

ყველა იმ კითხვას, რომლითაც შთამომავლობა მოგემართავს ჩვენ ოცდამეერთე საუკუნეში და მემდეგაც, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, მწერლობამ, ხელოვნებამ ღღეს უნდა გასცეს პასუხი წიგნებში, პიესებში, ფილმებში, მხატვრობაში, მუსიკაში მაღალმხატვრული, მართალი ნაწარმოებებით, რომ ბამი და ენგურჰესი მარტო კომკავშირული სიმღერებითა და ლოზუნგებით კი არ შენდებოდა, არამედ იმ რკინიგზის გასაყვანად ან კაშხლის ასაგებად თფლთან ერთად მიწაში სისხლია ჩაქცეული, რომ ქართველი მეჩაიე მზის ამოსვლამდე იმიტომ კი არ გადიოდა პლანტაციაში, რომ ეს მას ძალიან ეხალისებოდა, როგორც ეს ზოგიერთ ჩვენს ნარკვევსა და რომანში ნაჩვენები, არც იმიტომ, ერთი გულუბრყვილო სიმღერისა არ იყოს, თუ როგორ მისცეს გოგონებმა ერთხმად თავმჯდომარეს პირობა. ამას ქართველი ქალი აკეთებდა იმიტომ, რომ ეს ქვეყანას სჭირდებოდა. და კიდევ იმიტომ, რომ ქართველ ადამიანს აღბათ აქვს ბუნებით თანდაყოლილი გრძნობა: თავი არ შეირცხვინოს, სტყყვა არ გატეხოს, თუ გნებავთ, თავიც მოიწოწოს.

ყოველივე ამის საბუთი შთამომავლობას უნდა დაუტოვოს მწერალმა, ხელოვანმა. და, საერთოდ, დღეს ცხოვრება, არსებობა შეუძლებელია, ხვალინდელ დღეზე ფიქრი თუ არა გაქვს.

მარტო იმით შორს ვერ წახვალ, რომ თავი მოიწონო წარსულის დიდებით, სვეტიცხოველითი და ვარძიით, „ვეფხისტყაოსნით“ და ვაჟა-ფშაველათი, ფიროსმანით და ფალიაშვილით, მარჯანიშვილით და ასმეტელით, ჩვენ დღეს უნდა შევქმნათ ისეთი ნაწარმოებები, რომლებითაც მომავალი თაობა იამაყებს. თუმცა ზოგჯერ ბუგად ვიხსენებთ ჩვენს მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს, არც მოლად ასეა საქმე! და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეს უფრო იგრძნობა რესპუბლიკის ფაგრლებს გარეთ, სადაც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ჩვენი კულტურისადმი და ზოგჯერ სხვა რესპუბლიკების თანამოკალმეებს საბუთადაც მოჰყავთ ესა თუ ის ქართული ფილმი, წიგნი, პიესა, ან ნახეთ, როგორ მუშაობენ ქართველი კოლეგებიო; და როცა ამას ამბობენ, მათ მხედველობაში აქვთ არა მარტო ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრული ღირსება, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ის დიდი მხარდაჭერა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან, რაც განსაკუთრებით იგრძნობა ახლა.

ამ დღეებში რუსთაველის სახელობის თეატრი მოსკოვში გასტროლებზე რომ იმყოფებოდა, მაყურებლებით გაჭედილი დარბაზი ტაშს უკრავდა არა მარტო ჩვენი მსახიობებისა და რეჟისორების ნიჭიერებას, არამედ ძველ საქართველოს, იმ საღი აზროვნების ატმოსფეროს, რომელიც ღღეს ჩვენს რესპუბლიკაში სუფევს.

ჩვენ ძალიან კარგად გვესმის და სათანადოდ ვაფასებთ ამას, არა მარტო იმიტომ, რომ საკვე ეხება კონკრეტულად რომელიმე ჩვენი ნაწარმოების ბედს, არამედ უფრო მნიშვნელოვანს, ეტაპურს, შეიძლება ისტორიულსაც, ვინაიდან ასეთ მხარდაჭერაზე ღიდად არის დამოკიდებული ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, მისი ტენდენციის ბედიღბალი.

ასეთ მხარდაჭერად ჩვენ მიგვაჩნია ის აღგილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის საანგარიშო მოხსენებაში, სადაც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი დიდ შეფასებას აძლევს ეროვნულ სპეტაკულს, რომელიც თანამედროვეობის მწვავე პრობლემებისადმი მიძღვნილი; ასეთ მხარდაჭერას ვგრძნობთ ჩვენც, ქართველი ლიტერატორები და ხელოვნების მუშაკები, სადაც უნდა ვცხოვრობდეთ და ვმუშაობდეთ — თბილისში, ბათუმში თუ ქუთაისში, მაგრამ ეს მაინც არ მიგვაჩნია საკმარისად და გვინდა, რომ ჩვენი ნაწარმოებები პარტიული კრებების, პლენუმებისა და კონფერენციების მსჯელობის საგნად გადაიქცეს, რომ მუშამ, კოლმეურნემ, დირექტორმა, მმართველმა, მინისტრმა თუ მდივანმა ამ ნაწარმოებებში დაინახონ ცხოვრება, საკუთარი თავი; რაც კარგი და სასარგებლოა, მიიღონ და, როგორც იტყვიან, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, ხოლო თუ კი რაიმე ცოდვის ან შეცდომას შეეახსენებთ, ეყოთ ვაჟკაცობა და სიმართლეს მზერა გაუწორონ. თორემ მწერლობაში ამ ბოლო დროს კინაღამ ფეხი მოიკიდა ასეთმა ტენდენციამ — ჩვენ კი ვწერთ, ვამბობთ, მაგრამ ამით საქმეს ეშველებაო? იქნებ ცუდად ვწერთ? ესეც ჩვენი ფიქრის და ზრუნვის საგანია. ყოველ შემთხვევაში, უსაშველო არაფერია, ყველას და ყველაფერს ეშველება, სანთელ-საკმეველი თავის გზას მაინც გაიკვლევს.

მხარდაჭერად მიგვაჩნია ისიც, რომ პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ პარტიის რიგებში არ მიიღო ერთ-ერთი ქარხნის ინჟინერი იმის გამო, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მას წაკითხული არ ქონდა არც ერთი წიგნი, მხატვრული ნაწარმოები; არ ეხახა არც ერთი ფილმი, არც ერთი სპექტაკლი. სამწუხაროდ, ეს ერთეული შემთხვევა როდია. ზოგიერთ თეატრში შეუძლიათ დაგიახლეონ იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც წლების მანძილზე არ ყოფილან თეატრში. ეს ერთეულ-ერთეულ ადამიანთა ბრალია, ეს ერთეულ-ერთეულ ადამიანთა ბრალია, ეს ერთეულ-ერთეულ ადამიანთა ბრალია,

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის კომიტეტში

7 და 9 აპრილს მოსკოვში აკადემიკოს მ. ვ. კელდიშის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ გამორჩენილი მეცნიერები და ქვეყნის სახალხო მეურნეობის სპეციალისტები.

პლენუმზე განიხილეს ნამუშევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ 1976 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში, და მათი საზოგადოებრივი განსჯის შედეგები.

კომიტეტმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის 1976 წლის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი ნამუშევრები და შეარჩია მათგან საუკეთესონი კონკურსში მონაწილეობისათვის.

კონკურსში მონაწილეობისათვის რეკომენდებულ ნამუშევართა სია გამოქვეყნდება გაზეთ „იზვესტიაში".

გაფაფხულიდა თბილისელები

ვ. სოკოლოვის ფოტოეტიუდები (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ღვაწლმოსილი მეცნიერი

მ. შიშნიაშვილის დაბადების 70-ე წლისთავის გამო

70 წელი შეუსრულდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კოლოიდური ქიმიის ლაბორატორიის გამგეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, 1944 წლიდან სკკპ წევრს პროფესორ მიხეილ ესტატეს-ძე შინშიაშვილს. პირველად მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტშია, ჯერ — ლაბორანტად, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. მ. შიშნიაშვილმა სწავლა განაგრძო მოსკოვის ლ. ი. კარპოვის სახელობის ფიზიკა-ქიმიური ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც იგი მუშაობდა ცნობილი მეცნიერის ა. ი. რაბინოვიჩის ხელმძღვანელობით.

1939 წელს ამავე ინსტიტუტში მ. შიშნიაშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ომამდელი საბჭოთა მეცნიერთან, აკადემიკოს ვ. ა. კარგინთან ერთად მან მუშაობა დაიწყო კოლოიდური ქიმიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე — კოლოიდურ-დისპერსიულ ალუმინოსილიკატურ სისტემებში ადსორბციული და ქემოსორბციული პროცესების შესწავლაზე. ამ კვლევების შედეგები საფუძვლად დაედო ათეულობით ნაშრომს, რომლებიც გამოქვეყნებული იყო როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ. ამავე საკითხებს მიეძღვნა სადოქტორო დისერტაციაც, რომელიც მან 1944 წელს წარმატებით დაიცვა.

დიდი სამამულო ომის წლებში მ. შიშნიაშვილი ხელმძღვანელობდა პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტს, რომელიც ომის მძიმე წლებში ფრონტს ემსახურებოდა.

1940 წლიდან დღემდე მ. შიშნიაშვილი სათავეში უდგას ამავე ინსტიტუტის კოლოიდური ქიმიის ლაბორატორიას. მ. შიშნიაშვილმა და მისმა თანამშრომლებმა დიდი წვლილი შეიტანეს ბუნებრივი და ხელოვნური ალუმოსილიკატების კვლევისა და მისი შედეგების პრაქტიკაში გამოყენების დარგში.

უნდა აღინიშნოს ის წვლილიც, რომელიც ლაბორატორიამ მ. შიშნიაშვილის ხელმძღვანელობით შეიტანა კოლოიდური ქიმიის ახალი დარგის დისპერსიულ სისტემათა ფიზიკურ-ქიმიური მექანიკის განვითარებაში. რომლის ფუძემდებელი იყო ცნობილი საბჭოთა მეცნიერი პ. რებინდერი და მისი სკოლა.

მ. შიშნიაშვილს მეცნიერულ-შემოქმედებითი კავშირი აქვს მომიმე რესპუბლიკების მეცნიერებთან. მათთან თანამშრომლობით ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია გადაწყვეტილი კოლოიდური ქიმიის დარგში. იგი სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიების პრობლემური საბჭოების წევრია დისპერსიულ სისტემათა ფიზიკურ-ქიმიური მექანიკის, ზედაპირული მოვლენებისა და ლოფილების შესწავლის განხრით.

მ. შიშნიაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითა კოლოიდურ-ქიმიური კვლევებთან არ შემოფარგლება. დიდია მისი დამსახურება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით მიღებულმა ახალი სახის ბიოლოგიურად აქტიურმა პრეპარატმა ეგრეთწოდებულმა ბუნებრივ ნაერთთა მეტალების ხელატმა პრაქტიკული გამოყენება პოვა. მცენარეულ კულტურათა სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლისა და მოსავლიანობის გაზრდის საქმეში.

თანამშრომლებთან ერთად მ. შიშნიაშვილს გამოქვეყნებული აქვს 125 ნაშრომი, მათ შორის 3 შრომათა კრებული, მიღებული აქვს 7 საავტორო მოწმობა. მისი გამოკვლევები ორმა თეორიული ანალიზით და მიღებული შედეგების სიახლით გამოირჩევა. „იგი უაღრესად დიდი ტალანტის მქონე მკვლევარია, რომელმაც უკვე ბევრი გააკეთა ქიმიის მეცნიერებისათვის", წერდა მ. შიშნიაშვილის შესახებ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ვ. კარგინი.

მეცნიერულ მუშაობას მ. შიშნიაშვილი კარგად უთავსებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო დისერტაცია. იუბილარი დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს მუშაობას. მისი კვლევები სამამული ქიმიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

გ. ციციშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ლ. კობახიძე,
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.

უნგრელი მეგობრები გვიჩვენებენ

ჩვენს ქვეყანაში უნგრეთის ელექტრონაკეთობათა საგარეო-სავაჭრო საწარმო „ტრანსელექტროს" თავისი კეთილი ტრადიციები აქვს. მას ბევრჯერ გაუმართავს გამოფენები მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევში, ტალინში, ბაქოში, სოჭში. ამჯერად კი ფირმა ჩვენს დედაქალაქს ეწვია.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში, სადაც მოწყობილია გამოფენა, „ტრანსელექტრო" დამთვალიერებლებს უჩვენებს საზოგადოებრივი კვებისა და სასურსათო მაღაზიების მოწყობილობათა, აგრეთვე მანქანა-დანადგარების უახლეს ნიმუშებს. გარდა ამისა, ჩვენი სტუმრები თავიანთ ნაწარმს უჩვენებენ დედაქალაქის საზოგადოებრივი კვების სამ ობიექტსა და ერთ უნივერსალში.

პრეს-კონფერენციაზე, რომელიც წინ უძღოდა ექსპოზიციის გახსნას, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავჯდომარე რ. ელიეფალეკილი და „ტრანსელექტროს" ვენერალური დირექტორი მიხაი ფარკაში ესაუბრნენ ჟურნალისტებს, პასუხი გასცეს კითხვებზე.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირში-უნგრეთის სავაჭრო მრჩეველის ამაღგილე სიოკე ლასლო, „ტრანსელექტროს" გამოფენის დირექტორი თბილისში მოლნარ იშტვანი, „ტრანსელექტროს" ბიუროს დირექტორი შიმონ ფერენცი და იმ ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლები, რომლებიც ემსახურებიან ფირმას.

გამოფენა, რომელიც 23 აპრილამდე გასტანს, საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელობითა და საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელობით ეწყობა.

ლ. ჟიჟაძე.

ქალიან ჰგავს მამას...

რვა წელი გავიდა იმ დღიდან, როცა თვითმფრინავით სავარჯიშო ფრენის დროს დაიღუპა № 1 კოსმონავტი. მამების ხსოვნა მარად ცოცხლობს შვილების გულში. ამ სურათზე აღბეჭდილია იური გაგარინის უფროსი ქალიშვილი ლენა. იგი ძალიან ჰგავს მამას: ისეთივე ენერგიული და ხალხიანია, ისევე უყვართ და აფასებენ სკოლაში. წელს მის ცხოვრებაში მოხდა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა — საზეიმო ვითარებაში გადასცეს სსრ კავშირის მოქალაქის პასპორტი.

კოსმონავტთა პეტროგრაფები

კოსმოსური ხომალდების „სოიუზისა" და „აპოლონის" ფრენას არავითარი საინფორმ და სამეცნიერო ამოცანები რომ არ ჰქონოდა დაკისრებული, იგი მაინც უნდა მოგვეხდინა, რადგან მან შექმნა საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების, ინჟინრებისა და კოსმოსური აპარატების მართვის სპეციალისტების განსაკუთრებული ნდობის კლიმატი, — ეს სიტყვები ამერიკის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს საზოგადოებრიობის ინფორმაციის სამსახურის ხელმძღვანელს ჯონ დონლელს ეკუთვნის და საბჭოთა კავშირისა და ამერიკის კოსმონავტების ერთობლივი ფრენის შეფასებას წარმოადგენს.

„სოიუზისა" და „აპოლონის" ეკიპაჟმა შარშან ოქტომბერში საბჭოთა კავშირში იმოგზაურა და თბილისიც მოინახულა. თომას სტაფორდი, ვენს ბრანდი, დონალდ სლეიტონი, ალექსი ლეონოვი, ვალერი კუბასოვი საქართველოს დედაქალაქში სურათების გალერეასაც ეწვივნენ, სადაც დაათვალიერეს საბჭოთა და ამერიკელ მხატვართა ნამუშევრები დევიზით „ადამიანი და კოსმოსი". საბჭოთა და ამერიკელმა კოსმონავტებმა თავიანთი სამახსოვრო ავტოგრაფები დატოვეს „პროექტზე", „შეპირაპირება", რომელიც შექმნეს მხატვრებმა ნ. მალაზონიამ, ზ. კაპანაძემ, ზ. ლეუავამ და არქიტექტორმა გ. ჩახავამ.



ჭადრაკში სსრ კავშირის თასზე

თბილისის დიდი „სპექტაკლი"

კარპოვი, გაფრინდაშვილი და სხვები...

შარშან რიგაში გაიმართა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული დიდი გუნდური ასპარეზობა, რომელმაც ყველა საუკეთესო საბჭოთა მოჭადრაკეს მოუყარა თავი. აი, ასეთ განსაკუთრებით ძლიერ შეჯიბრებასაც კი არ ჩამოუვარდება ტურნირი, რომელიც ხვალ იხსნება თბილისში. ეს არის საკავშირო გუნდური პირველობა სპორტსაზოგადოებათა ნაკრებ გუნდებს შორის. მასში მონაწილეობენ ცსკა, „ბურევესტნიკი", „სპარტაკი", „დინამო", „ტრუდი", „ავანგარდი", „დაუბავა" და სოფლის მოჭადრაკეთა ნაკრები. თვითეულ გუნდში 5 მოჭადრაკე ვაჟი, ერთი ქალბატონი, 2 ქალი და ერთი გოგონა შედის.

მეტისმეტად ძლიერი შემადგენლობა ჰყავს არმიელთა კოლექტივს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სწორედ აქ თამაშობენ მსოფლიოს ჩემპიონები ანატოლი კარპოვი და ნონა გაფრინდაშვილი. არიან მოჭადრაკეები, რომლებიც ჩინებულად თამაშობენ პირად ტურნირებში და ნაკლები წარმატებით — გუნდურში. ზოგჯერ ეს პირიქითაც ხდება. ანატოლი კარპოვი და ნონა გაფრინდაშვილი, როგორც ეს ჭეშმარიტ მსოფლიოს ჩემპიონებს სწვევიათ, სრულიად თანაბარი წარმატებით გამოდიან როგორც ერთ, ისე მეორე ტიპის შეჯიბრებაში და თავიანთი გუნდისათვის სამდვილი ბურჯი არიან.

ჩვენმა გულშემატკივრებმა იციან, როგორი ბედნიერებით გამოდის ნონა გაფრინდაშვილი ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაში და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ გუნდურ ტურნირებში.

დიდ ინტერესს იწვევს კარპოვის გამოსვლა. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ჩემპიონის წოდების მიღების შემდეგ კარპოვმა გაიმარჯვა ვიდნერის მემორიალში. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის გუნდურ ტურნირში, მილახის „ვარსკვლავთა" ასპარეზობაში და ამასწინათ, სკოპლეში. ყველა ამ ტურნირში კარპოვმა წაიგო მხოლოდ ერთი პარტია (მილანში ანდერსონთან).

ორი მსოფლიოს ჩემპიონის თამაში არმიელთა კოლექტივს დიდ უპირატესობებს აძლევს, თუმცა არც სხვა გუნდები აოიან გულხელდაკრეფილნი. საკმარისია აღინიშნოს, რომ „ტრუდის" გუნდს უხელმძღვანელებს თანამედროვეობის № 2 მოჭადრაკე — ცხობილი ლენინგრადელი დიდოსტატი კორჩნოი. კარპოვთან მატჩის წაგების შემდეგ იგი მსოფლიოს ჩემპიონს აღარ ძეხვედრია. კორჩნოი სრულიად უკომძრომისო მებრძოლია და ყველა შეხვედრაში მხოლოდ გამარჯვებისაკენ ისწრაფვის. „სპარტაკის" გუნდის პირველ დაფაზე თამაშობს სსოფლიოს ექს-ჩემპიონი პეტროსიანი. დეკემბერში მან დამაჯერებელი წარმატება მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ერევანში, მარტში კი მოიგო საერთაშორისო ტურნირი კალიფორნიაში. „ბურევესტნიკის" გუნდის ლიდერი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სმისლოვი უკვე 55 წლისაა, მაგრამ კვლავიდებურად ძლიერად და თანაბრად თამაშობს.

თბილისელებს ძალიან უყვართ კიდევ ერთი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტალი. იგი აძჯერად „დაუბავს" გუნდის ლიდერია. მართალია, ამ გუნდის ერთადერთი საზრუნავი, ალბათ, ის იქნება, როგორ შეიცარრუნოს ადგილი უმაღლეს ლიგაში, მაგრამ ტალი, როგორც ყოველთვის, ძალიან ენერგიულად შეედავება თავის უძლიერეს მეტოქეებს, ამასთან თბილისის ტურნირში უნდა გვიჩვენოს, როგორ ფორმაშია „რიგელი ჯადოქარი" მსოფლიოს პირველობის საზონათაშორისო ტურნირის წინ.

ერთი სიტყვით, თბილისელები ბრწყინვალე „საჭადრაკო სპექტაკლის" მოწმენი ხდებიან. შეჯიბრებას, რომელიც 27 აპრილამდე გასტანს, წარმართავს „მსაჯთა ბრიგადა საერთაშორისო დიდოსტატისა და საერთაშორისო არბიტრის ბონდარენკოს ხელმძღვანელობით.

გ. გამრეკელი.

ჰოკეი

ჩემპიონმა ტემპს უმატა

პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში გრძელდება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი ბაიბიან ჰოკეიში. შაბათს შვედებმა წააგეს ამერიკელებთან — 0:2, ხოლო ფინელებმა სძლიეს გფრ-ის გუნდს — 5:2.

კვირას გაიმართა მორიგი სამი მატჩი. საბჭოთა ნაკრებმა, რომელიც თანდათან აუჯობებენს თამაშს, ფინეთის გუნდთან გაიმარჯვა დიდი ანგარიშით 8:1 (1:0, 3:1, 4:0).

ამავე დღეს ჩეხოსლოვაკიის გუნდმა, რომელიც დაუშარცხენელად იბრძვის ტურნირის, სლოვაკეთის ნაკრებს — 3:1, ხოლო პოლონელებმა ანგარიშით 6:4 — გფრ-ის გუნდს.

დღეს კატოვიცეს ყინულზე გაიმართება ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური ასპარეზობა — სსრ კავშირისა და შვეიცის ჰოკეისტთა მატჩი. მისი რეპორტაჟი ცენტრალური ტელევიზიით დაიწყება 23 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით, ხოლო 22 საათსა და 30 წუთიდან ჰოკეის მოყვარულებს ცისფერი ეკრანები სთავაზობენ ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ნაკრებთა მატჩს.

ფეხბურთი

ფრე კიევში

კვირას კიევში გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის უკანასკნელი მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „დინამოს" და მოსკოვის „ლოკომოტივს" შორის.

უკრაინელი ფეხბურთელები ამ დღეს თავიანთი ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ, რომელიც ორიოდე დღის წინათ დაბრუნდა საფრანგეთსა და შვეიცარიიდან. მატჩი კიეველთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ „ლოკომოტივის" კარში ბურთი მაინც არ გასულა — 0:0.

ამოკლედ

ბრიუსელი. მინსკის საერთაშორისო ტურნირის კულმინაცია იყო მძიმეწონოსანთა ორთაბრძოლა. ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, კუბელი თეოფილო სტევენსონი შეხვდა ძაგადანელ იგორ ვისოცკის. მეორე რაუნდში საბჭოთა მოკრივემ ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე, ხოლო მესამეში — დაანოკაუტა კიდეც. შეგახსენებთ, რომ სამი წლის წინ ვისოცკიმ კუბაშიც მოუგო (ქულებით) სტევენსონს.

კალამბურში. დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე. ქალთა შორის გაიმარჯვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა, ვაჟებში — თბილისის „დინამომ". ორივე გუნდმა მოიგო შვიდივე შეხვედრა.

ცურიხი, წყალში ხტომა. საბჭოთა ნაკრებმა მესამედ გაიმარჯვა მოცურავეთა და წყალში მხტომელთა ტრადიციულ საერთაშორისო მატჩში, რომელიც მინსკში გაიმართა. ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 5 ოქროს მედალი.

ძალოსნობა

ხუთი „ოქრო"

ბერლინში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში. საბჭოთა სპორტსმენებმა გუნდური გამარჯვება მოიპოვეს და ოქროს ხუთი, ვერცხლის ორი და ბრინჯაოს ერთი მედლის მფლობელნი გახდნენ.

პირველ მძიმე წონაში წარმატებით გამოვიდა ბულგარელი ვალენტინ ხოისტოვი, რომელმაც მოიგო ორშიდი 415 კილოგრამით, ამასთან მისი შედეგი ატაკში — 185 კგ. მსოფლიოს ახალი რეკორდია. ეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა ძალოსანი იური ზაიცევი (ქალაქი თემირტაუ) — 400 კგ.

მეორე მძიმე წონაში არ გამოდიოდა სახელგანთქმული საბჭოთა ათლეტი ვასილ ალექსეევი. რადგანაც ჩვენმა გუნდმა უკვე ამოწურა მოთაწილეთა ლიმიტი (9 კაცი). პირველობა აქ ჰქონდ ბონკმა (გდრ) ძოიპოვა, რომელმაც მსოფლიოს რეკორდი გამეორა ორშიდში — 432,5 კგ., ხოლო აკვრაში მთელი 5 კილოგრამით გადააჭარბა მსოფლიოს უმაღლეს მიღწევას (იგი ვ. ალექსეევს ეკუთვნოდა) — 252,5 კგ.

ავტოსპორტი

სტარტზე არიან „ბაგეგი"

კვირას დოსაააფ-ის სპორტულ ბაზაზე, რუსთავის მასლობლად გაიმართა საიტერესო ასპარეზობა ავტოკროსში. პირველად ჩვენს რესპუბლიკაში ვიხილეთ მიკროავტომანქანების — „ბაგების" რბოლა.

სტარტზე ხუთი ეკიპაჟი გამოვიდა, რომლებმაც გაითამაშეს დოსაააფ-ის რესპუბლიკური ავტომოტოკლუბის პრიზი. ყველაზე კარგად გახვლო დისტანცია თბილისელმა ა. საზონოვმა. მეორე ადგილზეა ლატვიელი ლ. კაკეტისი, მესამეზე — ქუთაისელი დ. ჯიქია.

ავინდი

გუშინ დასავლეთ საქართველოში მოღრუბლული ამინდი იდგა. სანაპირო რაიონებში ზოგან წვიმდა, კოლხეთის დაბლობზე აღმოსავლეთის ქარი ქროდა 13 საათზე ყველაზე მეტი სითბო, 26 გრადუსი ონამჩირეში და გალში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 23-25, მთაში 15-17 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონშიც წვიმდა, დაბლობ რაიონებში 17-20, მთაში 5-10 გრადუსი სითბო აღინიშნა.

თბილისში 13 საათზე თერმომეტრი 18 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს ძაგი ზღვისპირა რაიონებში მოსალოდნელია წვიმა, რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს, დაბლობ რაიონებში 20-25, მთაში 13-18 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელმჭექია მოსალოდნელი, ხოლო ტემპერატურა — ბარში 19-24, მთაში — 8-13 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია 22-24 გრადუსი სითბო.



ნ. შაშიაშვილი

66- წლის ასაკში გარდაიცვალა [illegible] საქართველოს [illegible] დამსახურებული მოღვაწე, თბილისის [illegible] ინსტიტუტ[illegible] [illegible] ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის გამგე, პროფესორი ნევრესტან რეჯების ასული **შაშიაშვილი.**

ნ. შაშიაშვილი ჯერ აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის პირველი მოადგილე იყო, შემდეგ — სახალხო კომისარი. 1948 წელს იგი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამედიცინო განათლების განყოფილების უფროსად გადმოიყვანეს. იმავე დროს მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის ასისტენტად.

1950 წელს ნ. შაშიაშვილი, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, თბილისის ექიმთა დახელოვნების თბილისის ინსტიტუტის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის კათედრის დოცენტად აირჩიეს, 1962 წელს კი, სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ, — პროფესორად; 1967 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი ამავე კათედრის გამგედ მუშაობდა.

ნ. შაშიაშვილი ნაყოფიერ, პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ფართო სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. მის კალამს 70-ე მეტი ნაშრომი ეკუთვნის. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული და დაცულია რამდენიმე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასეს პროფესორ ნ. შაშიაშვილს ღვაწლი. იგი დაჯილდოვებული იყო ორდენებითა და მედლებით.

ნ. შაშიაშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩება იმათ გულებში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; მედდაშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი; საქართველოს სსრ კიბინისტთა საზოგადოება; საქართველოს მედიცინა ისტორიკოსთა სამეცნიერო საზოგადოება.

ჩვენი კინოაფიშა

თავდასხმა საიდუმლო პოლიციაზე

ფილმი პროფესიული ლატვიელი რეჟისორის იან ლუტერ-ბორისის, იგივე კარლსონის რევოლუციურ მოღვაწეობას ეძღვნება.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ რიგის ოხრანკა ყოველნაირად ცდილობდა გამოეშკარავებინა ლატვიელი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც არალეგალურად მოქმედებდნენ. ერთი ასეთი ჩხრეკის დროს კარლსონიც დააპატიმრეს. რიგის საიდუმლო პოლიციის უფროსი თავის ბარბაროსული მეთოდებით ცდილობს გამოარკვიოს პატიმართა ვინაობა...

ფილმის სცენარის ავტორია ალბერ ბელი, რეჟისორი — ო. დუნკერსი. როლებს ასრულებენ გ. იაკოვლევი, გ. ცილინსკი, ე. რაძინია და სხვ. (რიგის კინოსტუდია).

აქ, ამ გზაჯვარედინზე

მშენებელთა ხუთკაციან ბრიგადას გზა გაჰყავს ახლადაშენებული ქარხნისაკენ. უფერულად გადის დღეები, თითქოსდა ტყუპის ცალივით მგვანან ისინი ერთმანეთს. მაგრამ ასეა? სწორედ ამ კითხვაზე იძლევა პასუხს დამდგმელი რეჟისორი კ. გეგორჭიანი ფილმში „აქ, ამ გზაჯვარედინზე", რომელშიც ნაჩვენებია სხვადასხვა ასაკის და ხასიათის მშრომელი ადამიანების ცხოვრება.

ფილმი გადაიღო ოპერატორმა ა. ივურიანმა. კომპოზიტორია — ტ. მანსურიანი. მთავარ როლში ვიხილავთ ცნობილ სომეხ მსახიობს აზატ შერენცს (კინოსტუდია „არმენფილმი").

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

ტელევიზია

13 აპრილი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „შაპოვოს კომპლექსი" (ქართულ ენაზე), 10.50 — კინონარკვევი, 11.10 — VIII კლასელთათვის — გეომეტრია, 11.40 — მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ვარსკვლავთის წუთი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — ქართული მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა", 15.20 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა, 16.20 — კინონარკვევი „ძმებებლები" (ქართულ ენაზე), 16.30 — მოსწავლეთათვის — ინგლისური ენა, 17.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი ბაღი", 17.10 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის — ქართული ენა, 17.55 — განცხადებები, 18.00 — უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთათვის — ბიოლოგია, 18.45 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები", 19.25 — „ჩვენი გადაცემების კალადაკვალ", 19.45 — „გლობუსი". ფერადი გამოსახულებით, 20.35 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბზიანეთი", 21.00 — „ოთამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „უკრავს თენგიზ ამირეჯიბი". ფერადი გამოსახულებით, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში: ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ნაკრები გუნდები. III პერიოდი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა პოლონეთიდან), 23.05 — სპორტული მიმოხილვა, 23.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში: საბჭოთა კავშირისა და შვეიცის ნაკრები გუნდები. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა პოლონეთიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — „მასწავლებლის საათი" — ხაზვა, 18.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიწის შვილები", 19.05 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 20.05 — განცხადებები, 20.10 — სტუდენტთათვის — პოლიტეკონომია, 20.55 ქართული სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „თვალსაზრისი", 21.35 — ქართული მხატვრული ფილმი „როცა აყვავდა ნუში".

რადიო

14 აპრილი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — კამერული მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ს. მირიანაშვილი. სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ა. სკრიაბინი. „ეტუდი ბემოლ მაჟორში", 11.45 — „მწერალი მიკროფონთან", 12.10 — ახალგაზრდობისათვის. „ხვალინდელ დღეზე ფიქრით", 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 17.15 — დ. არაყიშვილი. რომანსები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური «ციცინთელა»", 18.10 — ნ. მამისაშვილი. სიმფონიური სუიტა „გურიაში", 19.00 — საუბარი „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა", 19.15 — რუსული საორკესტრო პიესები, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „სკკპ მუშათა კლასის, მთელი ხალხის პარტიაა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — მხუბუქი მუსიკა, 30.20 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი" გადაცემა თბილისიდან ამიერკავკასიის მომიმე საბჭოთა რესპუბლიკების რადიომსმენელთათვის, 21.00 — „ძალოსპირული", 22.00 — რადიოსპექტაკლ „აწზორის" ერთ-ერთი სცენა, 23.30 — მღერის ანსამბლი „დიელო".

თეატრები

13 აპრილი

შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — პაემანი ცაში.

კომუნისტი 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-86-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-48, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 93-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УД 02245

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

რა ვნახოთ, რა შოვისშინოთ

ჩვენი მისამართი და ტელეფონები